

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 46 ნოემბერი 14 1899 წ. № 46

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან ალ. წულუკიძისა.—სხვა და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—საზღვარ გარეთ.—*** ლექსი თომაშვილისა.—სოფლის ცხოვრება (შემდეგი) სოფლელისა.—ბელგიიდან (გაგრძელება) ლ. დ—სა.—კოპერნიკიდან დარვინამდე Ა. სურგულაძისა.—ბედნიერებით მოვაჭრე დედაკაცი (ფრანგულიდან) დ—ი—სა.—ᲞᲐᲡᲣᲡᲐᲗ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲔᲐᲑᲠᲐᲨᲔᲛᲔᲗᲐ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ ს. ბახტაძისა.—კვალის ფოსტა. და შეცდომის გასწორება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲮᲐᲜᲐᲡ თავისი საკუთარი ამოცანები, თავსატეხი კითხვები აქვს, რომელშიაც მისი ხასიათი გამოსჭვივის, რომლითაც მისი მნიშვნელობა განისაზღვრებაო, ამბობს ერნესტ ბეხერი თავის შესანიშნავ წიგნში—„მუშათა კითხვა“. და მართლაც რა ხანაც უნდა აიღოთ, რა ისტორიულ მომენტზედაც უნდა შეაჩეროთ თქვენი ყურადღება, ყოველთვის და ყოველგან შენიშნავთ ამ საზოგადო განვითარების კანონს. სხვაფერ შეუძლებელიც არის, რადგან ყოველი საზოგადოებრივი განწყობილება დამოკიდებულია განსაზღვრულ ეკონომიურ ცხოვრებაზე; ყოველი კითხვა, ამოცანა—რომელიმე საზოგადოებრივი განწყობილებით არის გამოწვეული და რადგან ეს უკანასკნელი დამოკიდებულია განსაზღვრულ ეკონომიურ ცხოვრებაზე, ე. ი. რომელიმე ხანაზე, ამიტომაც ყოველ ხანას თავისი საკუთარი კითხვები აქვს გადასაჭრელი, მაზე ბჭობს და ცხარობს, მის გამოსარკვევად ჰქმნის მთელ მეცნიერებას, ამდიდრებს ბელეტრისტიკას, პოეზიას და საზოგადოთ ხელოვნებას. ყოველი გონებრივი ნაწარმოები განსაზღვრული მატერიალური პირობების შობილია და რასაც უფრო მეტს ჰყვირიან გონების „არა მკითხე“ მცველნი, რომ გონება ჰქმნის ყოველგვარ პირობებს და არა წინაალმდეგო, მით უფრო ძირს უთხრიან ცოდნას, რადგან მტკიცე ნიადაგს უკარგავენ, ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ძლევა-მოსილობას ართმევენ. რა რომ აუცილებლობის კანონს უარეჰყოფთ და კერძო ადამიანის გონებრივ ძალას მიეანიჭებთ ყოველად შემძლებლობას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, მაშინ მთელი ჩვენი მყობადი შემთხვევას უნდა შევადაროთ და ველოდოთ რომელიმე გენიოსის მოვლინებას, რათა ტანჯული ცხოვრება გაგვიუმჯობესოს და მთელი ისტორიული ჩარხი თავის ნებაზე შეატრიალ-შემოატრიალოს; მაგრამ საბედნიეროთ ჩვენდა, და სამწუხაროთ ამ აზრის მქადაგებელთა, ეს ასე არ არის. ყოველი გენიოსი მხოლოთ მაშინ გენიოსობს, როცა სოციალური პირობები ეთანხმება მის მოქმედებას, მისწრაფებას, ხელს უწყობს მისი აზრის განხორციელებას. ეს კი მაშინ შეიძლება თუ გენიოსის აზრი თვით ცხოვრების აზრია, ე. ი. თუ მისი იდეალი თანამედროვე ცხოვრების პირობების აუცილე-

ზელი შედეგია; დიად ნიჭს შეუძლია მხოლოთ ამცნოს საზოგადოებას მისი ნამდვილი გზა და კვალი, გამოურკვიოს იმ ელემენტების ვითარება, რომელიც აუცილებლათ განსაზღვრულ მომავლისკენ მიისწრაფვის, თვითონ სამეცნიერო ნავით გაჰყვეს ცხოვრების ძლიერ ტალღებს და ეს განსაზღვრული მიმართულება თვით საზოგადოებისათვის სასარგებლოთ გამოიყენოს. ამნაირათ, იგი ემორჩილება ამ საზოგადო კანონს და ემორჩილება იმიტომ, რომ ამ დამორჩილებით თვით კანონი ერის კეთილდღეობისათვის მოიხმაროს. განა ის ფაქტი, რომ მამზიდველობის კანონი კაცობრიობამ თავის სასარგებლოთ გამოიყენა, ამტკიცებს, რომ ეს კანონი აღარ კანონობს? წინააღმდეგ. ამნაირათ, სოციალური პირობები შობს გენიოსებს, ჰქმნის მეცნიერებას და ზრდის ადამიანის გონებას. პოლიტიკურ ეკონომიასაც თავისი მშობელი ხანა ჰყავს და ეს ხანა ბურჟუაზული ხანაა. იმ დროს, როდესაც საწარმოეო ძალთა განვითარება მეტი სისწრაფით ხდებოდა, როდესაც მრეწველთა შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა იმართებოდა, და ბაზრის მოპოვებისთვის არავითარ კანონიერ და უკანონო საშუალებას აღარ ზოგავდენ; როდესაც ისე ცხადათ და გარკვევით შეეტაკენ ერთმანეთს საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფნი, მოპირდაპირე ელემენტები, და კლასიურმა წინააღმდეგობამ თავი წამოჰყო, უნებურათ მიიპყრო მოაზრეთა ყურადღება ეკონომიურმა მოვლენებმა. ეს იყო XVII ე საუკუნოები. მას მერმე მრავალი წიგნები დაიბეჭდა ეკონომიური შინაარსის, არა ერთი და ორი შესანიშნავი ეკონომისტი მოევლინა კაცობრიობას, დღემდის ყოველი ქვეყნის მწერლობა ეკონომიური წიგნებით მდიდრდება, მხოლოთ არც ერთ მეცნიერებას ასე მოკლე ხნის განმავლობაში იმდენი თეორიები, შეუთანხმებელი აზრები არ ხვედრია წილათ, როგორც პოლიტიკურ ეკონომიას. გასაკვირველი აქ არაფერია. თვით საგნის ხასიათია ამის მიზეზი. პოლიტიკური ეკონომია განიხილავს ადამიანთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებას საქონლის წარმოებასა და განაწილების განვითარების დროს. რა თქმა უნდა ამ პროცესში ინტერესები დაყოფილია: ერთი ჯგუფი მეორეს საზიანოთ მოქმედობს, თავის გაბედნიერებით სხვას აუბედურებს. სიმდიდრის არა თანასწორი განაწილება უთანასწორობას ბადებს ერის სხვა და სხვა ნაწილების მისწრაფებაში, შეხედულებაში; კლასიური მდგომარეობა განსაზღვრავს ზნე-ჩვეულებას, სოფლიო შეხედულებას; ერთის ინტერესს მეორეს დაუპირდაპირებს, ერთის სურვილს მეორისას შეაბრძოლებს, რის გამო ჰარმონია ირღვევა და საზღვარი სხვა და სხვა ჯგუფთა შორის დღითი დღე მატულობს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რთული უნდა იყოს ამ პროცესის გამრკვევი მეცნიერება, როგორ ცხოველ და დღიურ კითხვას წარმოადგენს მისი საგანი; საკმაოა გაიხსენოთ ეს, რათა შეურიგდეთ იმ აზრს, რომ პოლიტიკური ეკონომიის უმთავრესი კითხვები ამ საუკუნის მეორე ნახევრამდე ვერ ჩაითვლებოდა გადაჭრილათ, გამორკვეულათ. ამიტომ ფრიად საინტერესოა მოიგონოს კაცმა ის მომენტები, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის განვითარებას ხელს უწყობდა და ის გზა გაიცნოს, რომლითაც მოაღწია მან დღევანდლამდე, ან რას წარმოადგენს იგი დღეს. ამისათვის საჭიროა ცოტა წარსულისაკენ მივიხედოთ და პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების დასაწყისის, ისტორიული ფურცლები გადავშალოთ. იქ ყველაზე წინ ფიზიოკრატების [1] და მათ შორის უფრო დიდი ასოებით ფრანსუა ქენეს სახელს ამოვიკითხავთ.

I

ფიზიოკრატების მოძღვრება ძლიერი პროტესტი იყო იმ დახავსებულ მფარველობითი სისტემის (покровительственная система), რომელიც ახლათ აღორძინებულმა მრეწველობამ თავის წელის გასამაგრებლათ გამოიგონა, იარაღათ გამოიყენა. ძველი ფეოდალური წყობილების დღეები დათვლილი იყო, ნატურალური მეურნეობის ნანგრევზე ნელ ნელათ კოშკს იგებდა ვაჭარ მრეწველი და თავის გასაძლიერებლათ უარესათ აწუხებდა მამაკვდავს, ფეხ ქვეშ თელავდა მის წმიდათა წმიდას: ზნე-ჩვეულებას, მსოფლიო მხედველობას, შინაურ და გარეულ ცხოვრებას. მაგრამ რამდენათ იგი ძლიერი იყო საიქიოსკენ გასამგზავრებელთან ბრძოლაში, ე. ი. შინ თავის მეზობელთან, იმდენათ იგი უძლური იყო გარეშე მტერთან, თავის მეტოქე მრეწველთან, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე ფეხი უკვე მაგრათ მოეკიდნა და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლისთვის სრულიად მკლავ-მომარჯვებული იყო. ამ დროს ახალგაზდა მრეწველობას ვისიმე დახმარება ეჭირვებოდა და მისი მშველელი ამ შემთხვევაში თვით სახელმწიფო შეიქნა თავისი მფარველობითი სისტემით, რომელსაც მერკანტილიზმს უწოდებენ. ეს უკანასკნელი ასუსტებდა გარეშე მტრის ძალას მით, რომ დიდ ბაჟს ადებდა თავის საზღვარზე

1) მერკანტილურ სისტემას ჩვენი აზრით პოლიტიკურ ეკონომიაში სკოლა არ შეუქმნია, მწყობრათ და მეცნიერულათ არ შეუმუშავებია თავისი პრინციპები, ამიტომ ჩვენ ამ სისტემას ცალკე ადგილს არ ვუთმობთ. ჩვენ წერილში მხოლოთ გზა-გზა სხვა მოძღვრების გამოსარკვევათ შევეხებით მას.

გადმოტანილ საქონელს, რითაც სარგებლობდა შინაური მრეწველი და თავის ნაწარმოებს მეტ ფასათ ასაღებდა. სახელმწიფო ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ სიმდიდრე მოხვეჭილიყო მის სახელმწიფოში და ამიტომ ათასგვარ საშუალებას იგონებდა. მკითხველს კარგათ ეცოდინება დღეს დღეობით გასაოცარი ზომები, რომლითაც სიმდიდრის მოპოებას ცდილობდენ. სიმდიდრეს ფულით ზომავდენ; იმათი აზრით სადაც მეტი ფულია იქ სიმდიდრეც მეტი იქნებაო. აქედან, ცხადია, ლოღიკურათ ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ საჭიროა მეტი ფულის მოგროვება სახელმწიფოში, ამ მიზნის მისაღწევათ—რაც შეიძლება მეტი საქონლის გაყიდვა საზღვარ გარეთ და ნაკლების ყიდვა. ამისათვის გასაოცარ საშუალებას ხმარობდენ ხოლმე: მაგალ., ინგლისის კანონმდებლობის ისტორია ბევრ საინტერესო დებულებას მოგვითხრობს. სხვათა შორის გამოცემულ იყო ეგრეთ წოდებული „დახარჯვის“ სტატუტი, რომელიც მოითხოვდა, რომ ყოველ საზღვარგარეთელს, რომელსაც საქონელი შემოჰქონდა ინგლისში, წასვლის დროს უნდა დაეხარჯა მთლათ ის ფული, რომელსაც თავის საქონელში იღებდა. ეს მიტომ, რომ უცხოელს ფული გარეთ არ გაეტანა. ამნაირი იყო მფარველობითი სისტემა, რომელმაც ფეხზე დააყენა, გააძლიერა ახალგაზდა მრეწველობა. მხოლოთ ისტორიაში ხშირათ იურიდიული გამოხატვა ეკონომიური ურთიერთობისა უფრო დიდხანს გასტანს თავის გამომწვეველ, შემქნელ განწყობილებაზე: მერკანტილიზმიც უფრო ხანგრძლივი გამოდგა იმ საწარმოვო ურთიერთობაზე, რომელიც ფეოდალური წყობილების კაპიტალისტურ წეს-წყობილებაზე გარდაქმნის, გადაშენების ხანა იყო. მრეწველობა განვითარდა, მას აწ სულს უხუთავდა, ხელ-ფეხს უბორკავდა მფარველობითი სისტემა. მას უნდოდა თავისუფლათ გაეშალა თავისი ღონიერი მკლავები, მაგრამ ჯერ კიდევ შებოჭვილი იყო თავისივე მოძველებული იარაღით. აი, ამდროს გამოჩნდენ სცენაზე ფიზიოკრატები, რომელთა დევიზი Laissez faire laisser passer სრულ თავისუფლებას ქადაგებდა ეკონომიურ ცხოვრებაში.

ალ. წულუკიძე.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.

ინგლისელთა გენერალი უაიტი ლედი-სმიტშია თავის ჯარით მოამწყვდეული და მოუთმენლათ მოელის ინგლისელთა რაზმს.

—

† დღეს ასაფლავებენ ასოთ-ამწყობს ე. მიხაილოვს, რომელიც ერთი წელიწადია როგორც სულით ავათმყოფი, მიხაილოვის საავათმყოფოში იმყოფებოდა.

—

სენაკის სკოლის ინსპექტორი მ. თ. მთავრიშვილი გადაყვანილ იქნა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში; უფროს მასწავლებლობა ჩაბარდა ა. წითლიძეს.

—

ემილ ზოლამ თხოვნით მიმართა თავმჯდომარეს ვერსალის სამსჯავროსას, რათა მოწვეულ იქმნან მოწმებათ მის საქმეზე, რომელიც დანიშნულია 11 ნოემბერს, პოლკოვნიკები შვარცკოპენი და პანიცარდი.

—

უმაღლესმა სასამართლომ განაგრძო გერენის გამოკითხვა. გერენი ამტკიცებს, რომ არას დროს შეთქმულობაში მონაწილეობა არ მიუღია და არც პოლიციელ აგენტებისათვის უსვრია რევოლვერი.

—

ბურებისადმი სიმპატიის გამოცხადება ეპიდემიასავით მოედო მთელ ევროპას. ზოგი ბურების რაზმში ეწერება ინგლისელთა წინააღმდეგ საბრძოლველათ, ზოგი ფულს აგროვებს ბურებთა სასარგებლოთ და სხვა. სულ სხვანაირათ შეხედეს ინგლის-ტრანსვაალის ომს საფრანგეთის მუშებმა: იმათ ერთ თავის კრებაზე ერთხმათ გადაწყვიტეს, მიმართონ რესპუბლიკის მთავრობას, რათა ის ჩაერიოს ამ საქმეში და შუა კაცობა გასწიოს ინგლისსა და ტრანსვაალს შორის.

—

კიევის ზოგიერთი შაქრის ქარხნის პატრონები მუშებს ფულის მაგიერ შაქრით უსწორდებიან თურმე. მუშები იძულებული არიან ეს შაქარი დაკლებულ ფასათ წვრილ მედუქნეებს მიჰყიდონ. ამნაირათ, ისედაც მცირე სამუშაო ქირიდან მუშას არარაფერი არ რჩება ხელში.

—

ოდენკურში მუშებს ამ დღეებში მუშაობა აღუკვეთიათ. 1000 მუშა ბოლფორში გასულან და იქიდან პარიჟში აპირებდენ წასვლას. მინისტრთა საბჭოს დაუდგენია ზომები მიიღოს, რათა მუშებმა პარიჟში შესვლა ვერ მოახერხონ. გზაზე ცხენოსანი ჯარი დაუყენებიათ, და უბრძანებიათ მუშები არ შეუშვან ქალაქში. მუშები უკან დაბრუნებულან.

„ქვალის" კორესპონდენციები.

ბათუმი. ქ. ბათუმის მეოთხე განყოფილების ერთ ნაწილს „ნოისვეტ"-ს ეძახიან. ეს „ნოისვეტი" შესანიშნავია მით, რომ მუდამ ბუზივით ირევა იქ ხალხი და მუდამ ხმაურობა-მოძრაობაშია. ამასთან, ყოველ ფეხის გადადგმაზე სამიკიტნო-ლუდხანებ-ყავახანებია იქ გამოჭიმული, მოქეიფე „მენარდე მეკარტეთა" ჯიბეების გასათხელებლათ. ამათ ზედ აკრავს როსკიპთა სადგომებიც. საუბედუროთ, ყველა ესენი შუაგულ ბაზარშია მოთავსებული, სადაც მუდამ ირევა ერთმანეთში ქალი და კაცი, მუშა და დამქირავებელი, მყიდველი და გამყიდველი, ხელოსნები, დიდი, პატარა და მოსწავლე ქალ-ვაჟები. ძნელათ იქნება აქ გავლის დროს, რომ შეზარხოშებულმა ქალმა ან კაცმა შეურაცხყოფა არ მოგაყენოსთ; შესახვევიც კი არსად არის, რომ როგორმე მოერიდო ამ ალიაქოთს. ჩხუბი, დავიდარაბა, რევოლვერ-ხანჯლობია, მიქაჩვ-მოქაჩვა, აყალ-მაყალი და ლანძღვა-გინება აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, მხოლოთ მყუდროება-მშვიდობიანობა იშვიათი. პოლიცია ყოველ-ღონეს ხმარობს მშვიდობიანობის დასაცველათ მარა რა ქნას, ყოველ სამიკიტნო-ლუდხანებში ხომ ვერ დააყენებს „გოროდოვებს„?

რადგან ახალი წელიწადი უკვე მოგვადგა კარზე, და მას „პატენტობიაც" მოჰყვება, რასაკვირველია, თუ მეტიჩრობაში არ ჩამომართმევენ ერთს ვკითხავ: არ შეიძლება მოქალაქეთა საკეთილდღეოთ და ჩვენ დროებით მცხოვრებთა დასაფარავათ, ლუდხანები და როსკიპთა სახლები ამ შუაგულ ბაზრიდან გადაიტანონ სადმე ისეთ ადგილზე, სადაც ასეთი მოძრაობა არაა, როგორც აქ „ნოისვეტ"-ში? მადლობა ღმერთს, ასეთი ალაგები ბლომათ აკრავს ბათომს. ვის არ ახსოვს ამ ხუთი წლის წინათ 1000-ზე მეტი კაცის ჩხუბი მატროსთა და მკვიდრთა შორის? რამ გამოიწვია ეს? გადაათვალიერეთ აბა მეოთხე განყოფილების ბოქაულის პროტოკოლები და რას ამოიკითხავთ შიგ? საკმარისია, რომ ორ-უქმე დღეს, დაათვალიეროთ აქაურობა და დარწმუნდეთ ზევით ნათქვამში.

ადამიანთა ტანით ვაჭრობამ ისევ იჩინა თავი. არა ერთი და ორი ახალგაზდა ღარიბი ქალიშვილი ჩამოჰყავეთ აქ გასაყიდათ. ვისაც აინტერესებს ამის გაგება, მიბძანდეს რკინის გზის სადგურზე საღამოობით; ამ დღეებში ორი მამა ენახე ქალიშვილის მაძებარი და ერთი მოწიფულ კაცი—მეუღლის.

ცოცხალი ნავთი.

—

ღალიძგის ხეობა (აღმოსავლეთ აფხაზეთი). ღალიძგის ხეობა ერთი უმდიდრესთაგანია მთელ სოხუმის ოლქში. ტყვარჩელის „დაჩაზე"—სახელმწიფო ადგილებზე (ღალიძგის ხეობა) სხვა და სხვა ჯიშის ძვირფას ხეებს გარდა რამდენიმე მილიონი მანათის ბზაა. მდინარე ღალიძგთან ახლო გამოდის ცხელი გოგირდის წყლები, სადაც საექიმოთ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დროიდან მოკიდებული დღემდი დიდძალი ხალხი დაიარება ყოველ წლობით, ამ წყლებს უკეთესი მომავალი მოელის. ამ ხეობაში, სხვა და სხვა წვრილ-წვრილ წყლების (რომლებიც მდ. ღალიძგას ერთვიან) ნაპირას, მთის კალთებზე მრავალი მადნეულობაა, განსაკუთრებით ქვა-ნახშირი.

უცბათ გამდიდრების სურვილი ანუ მადნომანია ახლა ვის არა აქვს აღძრული?! და აი უთვალავი (თითქმის 200-მდე) თხოვნაა შესული ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში. ყველა მთხოვნელს სვეტები აქვთ ჩასმული სხვა და სხვა სახელწოდების ადგილებზე და ყველანი პირვანდელ გამოკვლევა-ძიების მოწმობასა თხოულობენ. ხშირათ ერთ და იმავე ადგილის შესახებ რამდენიმე თხოვნაა შეტანილი! ძნელი გასარჩევია, თუ სად იწყება ერთის და სად თავდება მეორის საზღვარი. ამ მადნის მაძიებელთა შორის ერთმანეთში ცილობამ და უთანხმოებამ გამოიწვია მთავრობის მიერ კამისიის დანიშვნა, რომელიც ადგილობრივ იკვლევს, თუ ვის ჰქონდა ეს და ეს ადგილი პირველათ ნათხოვი და ვის უნდა მიეცეს უფლება ამ ადგილზე და სხვა. ყველა ამ თხოვნების გარჩევას და ადგილების დათვალიერებას დიაღაც ვერ მოასწრებდა წელს კამისია და ამიტომაც იმ თხოვნების გარჩევა, რომლებიც ამ წელს შესულა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში, გადადებულია მომავალ წლის ზაფხულამდის.

ყველა მადნის მაძიებელნი ორ უმთავრეს ჯგუფათ არიან გაყოფილნი: ერთი მხრით დგას წარმომადგენელი რუსეთის კაპიტალისტებისა ბ. დ. კაცმანი, მეორე მხრით (ბ. ბ. ძ—ძე, წ—ვი, შარვ—ძე და სხ). როგორც პირველს, ისე უკანასკნელთაც თავ თავისი კანტორები აქვთ, ჰყავთ ინჟენერი და სხ. მეტი მოძრაობა და მუშაობა, ჯერ-ჯერობით, პირველის კანტორაშია.

კანტორებისთვის შენობების აგება, გზების შესწორება და გაკეთება, ბოგირების გადება, ქვანახშირიანი ადგილების გაწმენდა და სხ. და სხ. აი რას აკეთებდენ უმთავრესათ ამ ზაფხულს.

ასეა თუ ისე ტყვარჩელის ხეობაში (ტყვარჩელი უკანასკნელი სოფელია, საიდანაც იწყება სახელმწი-

ფო ადგილები), დიდი მოძრაობაა ახლა იქ, სადაც 30—40 წლის წინეთ მხოლოთ ნადირთა გროვა დანავარდობდა, დღეს სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი დაფუსფუსებს. იქ, სადაც ათასში ერთხელ ერთი-ორი მწყემსი თუ ღამეს გაათევდა, დღეს ასი და ორასი მუშა ოფლსა ღვრის ფულის მოსაგებათ..

ვინ არიან აქ მუშები? შეხვდებით სხვა და სხვა ტომის მუშებს: ბერძენს, თათარს, სპარსელს, ქართველს, (იგულისხმეთ სამურძაყანოელიც), აფხაზსა და რუსს. რაჭველები სახლებს აკეთებენ, სპარსელები და ბერძნები ლაღუმით კლდეებს ამტვრევენ გზების შესაკეთებლათ, მეგრელნი და აფხაზნი ტყეს ჰკაფვენ, ბოგირებს აგებენ, თხრიან, გზებს ასწორებენ და სხ. მუშა რუსები ამ ხანათ (სეკტემპ.) აღარ იყვენ. მხოლოთ მუშათა ზედამხედველები რუსები არიან.

აქ ყველაზე მეტი მუშები ახლო მახლო სოფლებიდან არიან. ეს მუშები უმეტესათ საზრდოს სახლებიდან ეზიდებიან, რადგან აქ საშინელი სიძვირეა. ასეთ პირობებში შორიდან მოსულ მუშებს ხეირი არა აქვთ. ზაფხულში მუშებს აძლევდენ 80 კაპ. დღიურ ქირას, ახლა 70 კაპ. ჩამოიყვანეს. მუშებს, რასაკვირველია, არავითარი სადგური ბინა არა აქვთ, თუ აქა იქ ხის ტოტებით გადახურულ კარვებს არ მივიღებთ მხედველობაში. საზოგადოთ კი ხეებ. ქვეშ ატარებენ ღამეს. ქირას ყოველ 15 დღეში ურიგებენ მუშებს. ჯერ-ჯერობით მუშებს კარგათ და პირობიანათ ეპყრობიან საზოგადოთ, თუმცა იმისთანა მუშა აფხაზიც შეგვხვდა, რომელიც ოთხჯერ ასულიყო კანტორაში, მაგრამ თავისი ქირა მაინც ვერ მიეღო.

რკინის გზის (როგორც ამბობენ ელექტრონის) მიმართულებასაც იკვლევს ნემეცი ინჟენერი ბ. კაცმანისაგან მოწვეული. ჯერ დანამდვილებით ვერ ითქმის, თუ რა ბოლო მოელის ყოველსავე ამას. ვნახოთ მომავალი წელი, რადგან ამ ზამთარში, უეჭველათ, მუშაობა უნდა შეწყდეს.

ამნაირათ, ნელა-ნელა, სულ სხვა სახე ედება აფხაზთა ცხოვრებას, მათ რაინდულ-მხედრულ ურთიერთობას, მათ ზნე-ჩვეულებას. მისი განთქმული პატრიარქალური სტუმართ-მოყვარეობა ისტორიის არხივს ჩაბარდება.

ბ. ჯ.

საზღვარ-გარეთ

საფრანგეთი. აგერ რამდენიმე დღეა, რაც უმაღლესმა სასამართლომ შეთქმულთა საქმის გამოძიება დაიწყო. როგორც ჩანს, მთავრობა წინდაწინვე მოელოდა შეთქმულთა და მათ 500 მოწმეთაგან აყალმაყალს და უწესოებას და კიდეც იმისთვის აავსო გვარდიელებით ზალები და კორიდორები სენატისა. მთავრობა მართლაც არ მოტყუვდა. მეორე კრება სენატისა საშინელ არეულობით დაბოლოვდა. რადგან ყველა მოწმები ზალაში არ დაეტიენ, ამიტომ ისინი ჯგუფ-ჯგუფათ შემოჰყავდათ და ჯგუფ-ჯგუფათვე გაჰყავდათ მეორე კარებიდან, რომელიც დამნაშავეთა სკამის პირდაპირ იმყოფებოდა. ამ ჯგუფ-ჯგუფათ მოწმეების სიარულმა სივიწროვე და ხმაურობა გამოიწვია. წამოხტა გერენი და ხმამაღლა დაიყვირა:—„მე ვერაფერს ვხედავ!"—დაბრძანდით,—შენიშნა მას თავმჯდომარემ.—მე პროტესტს ვაცხადებ,—ყვირის გერენი.—მე, როგორც ბრალდებული, უნდა ვხედავდე მოწმეებს!—ჩემ კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს ეს,—ესარჩლება გერენს მანარი.

თავმჯდომარე. გთხოვთ ნუ მაწყვეტინებთ. გერენი გიჟივით წამოვარდება და საშინელი ხმით ღრიალებს:

—აქ ფეხქვეშ თელავენ ბრალდებულთა უფლებებს, მე პროტესტს ვაცხადებ კანონის სახელით. გერენი ორ ჯარის კაცს მაგრათ უჭირავთ ხელში. მოწმეები ყვირიან: „გაუმარჯოს დერულედს! ძირს სენატიო!" შემოჰყავთ როშფორი.

„არ ვიცი, რისთვის ვარ აქ მე". ეკითხება ის ირონიულათ თავმჯდომარეს. ამ კითხვაზე თავმჯდომარე ძალიან მოსწრებულათ უპასუხებს: „ამაზე თქვენ მეგობრებს დაეკითხეთ: ალბათ იმათ იციან, რადგან თქვენ იმათგან ხართ მოწვეული".

უწესოებამ თავის აპოგეიას მაშინ მიაღწია, როცა კორიდორში დარჩენილმა მოწმეებმა მარსელიეზა დასძახეს. ქუჩამ ხმა მისცა. მთელი ათი წუთის განმავლობაში ზალა საკვირველ სურათს წარმოადგენდა: სენატორები და საზოგადოება წამოდგენ თავიანთ სკამებიდან. ხმა მაღალი ლაპარაკი, ყვირილი, მუქარა უერთდებოდა ტაშებს რევოლიუციონური გიმნისას.

დერულედი გამოტყდა, რომ მინდოდა კონსტიტუცია დამერღვია, ამის გამო მე ფელიქს ფორს ვთხოვე სახელმწიფოში ცვლილება მოეხდინა, მაგრამ ფორმა უარი მითხრა. აგრეთვე მოვამზადე პროკლამაცია, რომელიც ამ სიტყვებით თავდებოდა: „საპარლამენტო რესპუბლიკის დღენი დათვლილია, გაუმარჯოს პლებისციტარულ რესპუბლიკას".

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. 24 ოქტომბერს, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში მოხდა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები. ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება შეადგენს შეძლებულთა უპირატესობას, პრივილეგიას, ე. ი. ჩვენი ქალაქის საბჭოში ხმოსანთა არჩევა მხოლოთ მდიდარ მცხოვრებთ შეუძლიათ. ბერლინში კი (როგორც უმეტეს ნაწილათ სხვა ქალაქებშიაც ევროპაში) ასე არ არის: იქ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ სრულ-წლოვან მცხოვრებს, თუნდაც იგი გროშ კაპეიკსაც არ იხდიდეს ქალაქის სასარგებლოთ. თუმცა იქ მთელი ქალაქის შემოსავლის წყარ ს შეადგენს შეძლებულ მცხოვრებთა გადასახადები და ქალაქის საკუთარი წარმოებანი, ამის მიუხედავათ იქ უკანასკნელ მუშებსაც უფლება აქვსთ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის მართვა-გამგეობაში, ე. ი. უფლება აქვსთ აირჩიონ და იყოლიონ ქალაქის საბჭოში საკუთარი ხმოსნები თავისი საკუთარი ინტერესების დასაცველათ. მუშებიც მარჯვეთ სარგებლობენ ასეთი უფლებით და თავგამოდებით ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი საკუთარი ხმოსნები აირჩიონ საბჭოში. მათი მეცადინეობა უნაყოფოთ არ რჩება, და ყოველ ახალ არჩევნების დროს, სულ უფრო და უფრო ბევრი საკუთარი ხმოსნები გაჰყავთ. ეს აშკარათ დაგვანახვეს ბერლინის მუშებმა წლევანდელი არჩევნების დროსაც, 24 ოქტომბერს. დღემდე მუშა ხმოსანთა რიცხვი ბერლინის საბჭოში უდრიდა 24-ს; ხოლო წლევანდელ არჩევნების შემწეობით კი მუშებმა კიდევ 8 ახალი საკუთარი ხმოსანი აირჩიეს, ასე რომ დღევანდან მომავალ არჩევნებამდე ბერლინის მუშებს 32 საკუთარი ხმოსანი ეყოლებათ ქალაქის საბჭოში. მუშათა დასის კანდიდატებმა არჩევნების დროს მიიღეს 26,800 ხმა, ლიბერალთა დასისამ—15,660, ხოლო კონსერვატორთა დასისამ კი მხოლოთ 4,500 ხმა. უკანასკნელებმა ერთი საკუთარი კანდიდატიც კი ვერ გაატარეს.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. არ იქნა, არ ეშველა ოსმალეთის მთავრობას თავისსავე სამეფოში მშვიდობიანობის დამყარება. ერთ თავ-სამტერეე კითხვას მეორე თავ სამტერეე კითხვა მოსდევს; ერთი ამბოხება მეორე ამბოხებით იცვლება; მთავრობა მუდამ შიშშია, დღე და ღამ შეიარაღებული, ყოველ წამს თავზე დასხმას მოელის. და რათ ხდება ყველა ეს? რა არის, რომ ბოლო აღარ ეღება ამ არეულ-დარეულობას? ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა თვით მთავრობაში იმალება: ის, ერთი მხრით, ვერ მიმხვდარა დღევანდელ ცხოვრების მიდრეკილებას; მას აშინებს და თვალებს უბრმავებს ევროპიდან შემოსული სიბათლე; ის ჯერ ვერ დარწმუნებულა, რომ დღევანდელი ოსმალეთის პირობებ-წყობილებებში ვერ მოთავსდება გადახალეების გზაზე შემდგარი ცხოვრება. და მეორე მხრით, მას ისე ბარბაროსულათ უნდა მართოს თავისი ქვეშევრდომნი, ისე ყოველივე უფლებათა მოკლებული დატოვოს ისინი, როგორც იმ ძველ ნეტარ დროს იყო. აი, ამ პირველი მიზეზის ნაყოფია ეგვიპტეში შემდგარი ახალ ოსმალთა პარტია აბდურახმან-ბეის ინამძღოლობით. და მეორე მიზეზის—სომეხთა ახალი მოძრაობა. აბდურახმან-ბეი ნიჭიერი და შესანიშნავი მჭევრმეტყველია, მან მალე მიიქცია ახალგაზდა ოსმალთა ყურადღება და შემოიკრიბა ისინი გარშემო; მისმა შეხედულობამ დღევანდელ წესწყობილების უვარგისობის შესახებ სიმპატია მოიპოვა არაბთა საუკეთესო საზოგადოებაში და საზოგადოთ ოსმალთა ახალ-თაობაში.

ოსმალეთის მთავრობამ მალე იგრძნო საშიში მდგომარეობა და ეგვიპტეში მთელი რაზმი გაგზავნა ჯაშუშებისა. ჯაშუშთა მისსია საესებით დამარცხდა, რადგან ეგვიპტის მთავრობამ არც ერთი წევრი ამ ახალ საზოგადოებისა არ დაანება მას. თითონ აბდურახმან ბეი კი თავისი საუკეთესო ამხანაგებით ევროპაში გადასახლდა, სადაც მაშინვე დაიწყო გაზეთების „გამოცემა: „დიკატი“-სა (ყურადღება) და „ქურთისტანი“-სა. პირველი გამოდის თურქულ და არაბულ ენებზე, მეორე თათრულ და ქურთულზე. პირველი ნომრები ამ გაზეთისა კიდეც მოსულა სტამბოლში და ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია სულთანზე, რომ მას განუზრახავს გაგზავნოს ერთი თავისი მოხელე ევროპაში აბურახ მან-ბეისთან მოსალაპარაკებლათ. თუ რამდენათ ძლიერი შთაბეჭდილება იქონია სულთანზე ამ გაზეთებმა, იქიდანაც ჩანს, რომ გამოვიდა სულთანის ირადე, რომლითაც არც ერთ ოსმალელს ეგვიპეტში წასვლის ნება არ აქვს ისე, თუ არ სულთანის ნება დართვით, როგორც ეს პარიზსა და ლონდონის შესახებ არის, რომლებიც კარგა ხანია რაც ითვლებიან ოსმალთა დინჯი ჰკუის გამრყენელ ქალაქებად.

მეორე მხრით კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შესწავლა სომეხთა მდგომარეობისა ოსმალეთში, ვერაფერ შედეგს ვერ მიაღწია, რადგან გუბერნატორებმა აზიის პროვინციებისა კომისიას არც ერთ კითხვაზე პასუხი არ აღირსეს. ეს სახიზღარი მოვლენა მხოლოთ იმითი აიხსნება, რომ გუბერნატორებს სულთანისაგან აქვთ მიცემული ინსტრუქციები, რომლებიც ნებას აძლევენ ძწვანე მაუდ ქვეშ ამოდონ, ან სანაგვის გოდორში უკრან თავი ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც მრავალ-ტანჯულ სომეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას კი შეეხება. მთავრობის ამგვარ გულგრილობის გამო, კომისიამ შეწყვიტა თავისი სხდომები, და სომეხთა პატრიარქმა, „ოტსტავკა“ შეიტანა სულთანთან.

***

დღე დღეზე გადის, თვე თვეზე,
სიცოცხლის წყარო ილევა,
ცოტა მაქვს, ისიც მეკარგვის
და გული სევდით ილევა.

შიშით ვიგონებ განვლილ დღეთ,
რომ მე იქ არა მრჩება-რა
და თვით წინა-მსრბოლ ლამპარსაც
ჯანღ-ნისლი გადაეფარა!

ის ხელ-უხლებლათ დავტოვე,
რაც უნდა მეხნა, მებარა,
და მომავლისკენ ვიხედვი,
სად არრა გამეგებარა!..

იმის წინ ჩემი სიბრმავე
გულს სევდათ შემომეფარა...
დავკარგე სწორეთ, დავკარგე
რაც რომ საუნჯე მებარა!..

მომავალს ვეტრფი ისევე,
იმას ვიხსენებ მალ-მალე
და, „ხვალ-ზეგ, ხვალ-ზეგ“ ვიძახი,
ვით მატყუარა მკვალე!..

მარა არ იქნა, კრულ აწმყოს
ვერსად ვერ დავემალე,
და დღეს, თუ წავწყდი სულ-ხორცით,
რაღამ მაცხონოს ხვალე?!

დღე დღეზე გადის, თვე თვეზე,
სოფელი ცვალებადია;—
ის სიზმარია ერთისთვის,
რაც მეორისთვის ცხადია!

რაც სიტკბოება ერთისთვის
უზრუნველ განამზადია,
ის მეორისთვის იმავ დროს
ოცნებით დანაბადია!..

ზირველიც მეორისათვის
ხელის შემშლელი ბადეა
და მისთვის ასეთ ყოფაში
ჩემთვის დღე წელიწადია!...

დღე დღეზე გადის, თვე თვეზე,
სიცოცხლის წყარო ილევა
და მასთან ამ ქვეყნიური
ჩემი სიმწარეც ილევა!

და თუმც ამ ქვეყნათ კაცთაგანს
არავის შევეცოდები,
თვით მეგობრისგან, პირიქით,
შხამ-გესლით დავიკოდები,—

მე მაინც მინდა სიცოცხლე,—
სიკვდილს არ მივეწოდები—
და მაშინ თუნდა იმ წამსვე
გულზე დამაწვეს ლოდები,—
თუ მოვესწრები, რასაცა
ვეტრფი და მოველოდები..

დ. თომაშვილი.

სოფლის ცხოვრება.

(სოფ. ნიგოითის ზოგადი მდგომარეობა.)

ზემოთ ვთქვით რომ ხსენებულ შეგნებულ პირთა არსებობა (თუ მოქმედება) 1890—91 წლებში თვალსაჩინო გახდა და აქედან იწყება მათი ბრძოლა თავის-თავთან, შინაურებთან (ოჯახში) და გარეშეებთან მეთქი. შინაურებთან ბძოლა რასაკვირველია ამათ იმ დროდან მოუხდათ, რა დროდანაც თვით-განვითარებას მოჰკიდეს ხელი. საზოგადოებასთან ბრძოლაც სწორეთ იმ დროდან იწყება. ხოლო შინაურებთან ბრძოლა საზოგადოების, ზედ-გავლენით უფრო გამწვავდა. საზოგადოებას რასაკვირველია, ესენი თავის არსებობის გამოჩენით არაფერს უშლიდენ გარდა იმისა, რომ იშვიათათ ზოგ მათგანს სიტყვით შენიშნავდენ საზოგადო თუ კერძო საქმეში ბოროტ მოქმედებას, მარა მოგეხსენებათ, რომ ხალხი — მეტადრე სოფლელი — კონსერვატორია, მას არ მოწონს და დაცინის იმ წევრს საზოგადოებისას, რომელიც მასავით არ მოქმედობს ან არ ფიქრობს. არ მოწონს ის ვინც რამე ახალს იგონებს ან აკეთებს. თუ ეს ახალი, სხვანაირი ფიქრი და მოქმედება შეეხება ეკონომიურ მდგო-



კასპიის ზღვის გაღმა მხრის სურათები.

მარეობის გაუმჯობესობას და თუ ეს მოქმედება დაგვირგვინდა კარგი ნაყოფით, რაც ძრიელ საეჭვოა, ახალი საქმისგან, კიდევ კარგი მოგიტევებენ. ხოლო თუ ამ მოქმედებამ ვერ მოიტანა ნაყოფი, მაშინ დაცინვას საზოგადოებისას საბუღალტერი აღარა აქვს. ახლა წარმოიდგინეთ როგორ მოეპყრობოდენ მაშინ იმ პირთ, რომლებიც კითხულობდენ წიგნებსა და გაზეთებს და ფიქრობდენ აქედან რამე განათლებას შეეიძენთო. წიგნების კითხვა რა მაგათი საქმე არისო, ესენი ჩვენსაებ ყანას უნდა თოხნიდენო, წიგნის და გაზეთის კითხვა თავადიშვილების და სწავლულ კაცების საქმეა—ამბობდა ხალხი. ზოგნი იმასაც კი უმატებდენ რომ ესენი დასაკარგავი კაცები არიანო, რადგან ასე უსაქმურათ სულ ერთათ დადიანო, „სტანციაზე“ შუალამეზე ვნახეთ გაზეთს მოელოდენ და რომ მოუვიდათ იქვე ჩუმათ კითხულობდენო. ზოგნი, ქალალდის ნახევს რომ დაინახავდენ მიწაზე დაგდებულს, ერთმანეთს ასე გაეხუმრებოდენ: აიღე კაცო იგი ქალალდი და მიუტანე იმას, წაიკითხავსო. გარდა ამისა დაცინვით პოეტებს უძახდენ, ჰო, პოეტები მოდიანო! აი ასე ამბობდა მცხოვრებთა მცირე ნაწილი, სოფლის გაელეხიანი პირები, ხოლო უმეტესობა ამ შეგნებულ პირებზე მაინცა და მაინც არ იყო ცუდი აზრის. აი ეს ათასგვარი დაბრკოლებები უნდა დაეძლიათ ᲩᲥᲔᲠᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ უნდა აეტანათ იმ ახალ გაზრდათა მცირე წრეს, მხოლოთ იმიტომ რომ მცირე რამ შეეგნოთ და მერთ თავის თავსა და სხვასაც რითიმე გამოდეგომოდენ. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ იმ თაეიდანვე თითო-ოროლა ისეთებიც მოიპოვებოდენ, რომლებიც თანაუგრძნობდენ ამათ. ასე მიდიოდა დრო 1894—95 წ. ებამდის. ამ დრომდის ეს წრე უფრო გამაგრდა გონებრივათ, ამას გარდა ამ წლებში ნიგოითში გადმოიყვანეს ორი შეგნებული მასწავლებელი; აი ამ მასწავლებლებმა და ადგილობრივმა ინტელიგენ- (ამას შემდეგ ჩვენ უფრო ხშირათ ვიხმართ სიტყვას „ინტელიგენცია“-ს რადგან ამ დროს შემდეგ ამ წრეს ასე უწოდებენ), შეერთებული ძალით მოინდომეს ხალხი განათლების შეტანა, ზოგიერთ პირთა დახმარებით დააარსეს სამკითხველო. ახალ ისათვის იყო თუ საზოგადო საქმის დახმარებისათვის სამკითხველოს შემწე იმაზე მეტი აღმოუჩნდა, რამდენიც მოსალოდნელი იყო. და მკითხველებიც პირველში ძალიან ბევრი ჰყავდა სამკითხველოს. ის პირნი, რომლებიც წინეთ დაცინოდენ აქაურ ინტელიგენციას, ახლა რასაკვირველია უფრო ამხედრდენ ამათ წინააღმდეგ, რადგანაც სამკითხველოს დაარსება იმათ აზრთა განხორციელებათ ცნეს, თუმცა ამავე დროს სირცხვილისათვის კიდევაც ეხმარებოდენ სამკითხველოს. საყურადღებო იყო ხალხის შეხედულება სამკითხველოზე. ვერ წარმოედგინათ ის თუ რა საჭირო იყო ეს სახლი, რალაც სამკითხველოთ წოდებული, რომელიც არც „კლასი“ იყო, არც კანცელარია და არც არავინ დგებოდა შიგ ოჯახით. ერთმა გლეხმა, როცა მას მეორე შეეკითხა, თუ რა იყო ეს სახლი, ასე უპასუხა: საკითხავიაო.—რა საკითხავიო?—რავა და რომ გამოიარს კაცი და დაინახავს ტყუილათ სახლს, გაუკვირდება და იკითხავს, მიტომ საკითხავიაო. სამკითხველოს დაარსება რომ ასე ეუცხოვა და გაუკვირდა უმეტესობას, არავისთვის არ უნდა იყოს საკვირველი, რადგანაც მათ თავის დღეში არ ენახათ და არ გაეგონათ თუ რა იყო სამკითხველო და ან რა საჭირო იყო ის. სამკითხველოს დაარსების გარდა ამ შეგნებულ პირთა წრემ მოინდომა ხალხის საზარალო ზნე-ჩვეულების, მაგალითათ ტირილის ხარჯის მოსპობა; ამათ კარგათ ესმოდათ ის რომ რა ძნელია ხალხის ზნე-ჩვეულებათა ხელოვნურათ მოსპობა, მარა ესენი მოტყუვდენ, რადგან ეს კითხვა თითონ სოფლელებშიაც აღიძრა. საზოგადოებამ აირჩია კომისია, რომელშიაც თითქმის უმეტესობა შეგნებული პირნი მოსულენ და მოინდომეს ამ ზნე-ჩვეულებათა მოსპობა თუ შემცირება. კომისიამ პირველათ ტირილის შესახებ იქონია მსჯელობა და დაადგინა: ტირილზე მოისპოს „წაბურვა“ და ჩვეულებრივი ხარჯი, ხოლო დამსწრენი, გარდა მახლობელთა და ნათესავთა, არ უნდა დარჩენ სადილათო. თუმცა ამ გარდაწყვეტილების თანახმათ მაშინ ერთი ორი კიდეც მოიქცა მარა შემდეგ ეს გარდაწყვეტილება მხოლოთ ქალალდზე დარჩა აღნიშნული. აზრის მომხრე უმცირესობა დარჩა. ამ კითხვის გადაწყვეტამ მიზეზი მისცა იმ პირთ, რომლებიც წინეთაც იჭვის თვალით უყურებდენ ინტელიგენტთა ქცევა მოქმედებას, უფრო სასტიკი დევნა დაეწყოთ, და ჭორები გაევრცელებინათ ინტელიგენციის შესახებ. ამათ მოემხრენ ისინი, ვისაც საზარალოთ მიაჩნდა ტირილზე ხარჯის მოსპობა, მაგალითათ ეაჭრები, რომლებიც ეველარ გაასაღებდენ წინანდებურათ „ტირილში“ თავის საქონელს, ისეთი უსაქმურნი პირნი, რომლებიც ტირილში წასელას გართობა და თავ-გამოსაჩენ საქმეთ თელიდენ და ასე გაშინჯეთ ერთი აქაური სულიერი მამაც და „საპატიო გვამი“; ამავ წლებში მამასახლისათ დადგა ისეთი პირი, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცოდა და რომელიც შეძლებისადაგვარათ სასტიკი მდევნელი იყო ინტელიგენციისა, ამ გვარათ შედგა მთელი დასი „სიბნელის მომხრეთა“, რომელთა იარაღი გახდა მამასახლისი. ამათ სასტიკი დევნა დაუწყეს ჯერ-ჯერობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით; ამ სიტყვებს უმეტესათ მამასახლისი წარმოთქვამდა, როგორც ვითომ პოლიციელი, მშვიდობიანობის დამცველი, საზოგადოების მავნე წევრთა (ინტელიგენცია) შესახებ. მოგეხსენებათ, რომ ინტელიგენტის გაჭირვების დროს მშველელი იარაღი დაბეჭდილი სიტყვაა და ამათაც ამ საშუალებას მიმართეს. მკითხველი მაინცა და მაინც არ მიაქცევდა ყურადღებას თორემ 1896—97 წლებში, რომ ნიგოითიდან კორესპონდენციები იბეჭდებოდა გაზეთებში ეგონებთ ამდენი სხვა ათი სოფლიდანაც არ იგზავნებოდა. რამდენსაც თვით ნიგოითის ინტელიგენცია გზავნიდა წერილებს იმდენზე მეტს გარეშე ინტელიგენცია, რადგანაც ერთი მხრით აქ მასალა ბევრი იყო, რომელიც შეეხებოდა საყურადღებო საგანს—სწავლა-განათლების საქმეს და მეორე მხრით აქაურები ვერ ბედავდენ დაწერას და გარეშე ინტელიგენცია თავისი გაბედული წერით დახმარებას უწევდა აქაურ ინტელიგენციას, როგორც სულიერი მოძმეს. იბეჭდებოდა წერილები სხვა-და-სხვა პირთა შესახებ. მაგალითათ: მამასახლისის, მღვდლის, თავადის და სხვა და სხვა. საკვირველი იყო რომ ეს წერილები გულში ხვდებოდა, სწავდა ყველას ვის შესახებაც იყო დაწერილი. ასე გაშინჯეთ იმისთანებსაც-კი, რომლებმაც წერა-კითხვა არც-კი იცოდა. ეს შენიშვნები ერთი მხრით თავის მიზანს აღწევდა, მარა მეორე მხრით ნიშანში ამოღებულ პირებში ესე იგი „სიბნელის მომხრეებში“ იწვევდა მეტ ბოროტ-მოქმედებას, შურის-ძიებას. საყურადღებო იყო ამ წერილებზე საზოგადოების აზრი. ერთ ნაწილს, რომელიც ასე თუ ისე თანაუგრძნობდა ინტელიგენციას, უხაროდა ეს შენიშვნები და ასე ამბობდენ: კარა ძმაო იმ გაზეთში წერა, იგი ოჯახ-აშენებულები ჩვენ და ღარიბი გლეხ-კაცებისას წერენო; იგინი რომ ისე არ შერებოდენ ჩვენ შეგვჭამდენო, ნეტაი მე ეიცოდე დაწერაო-და თითონაც თვალ ყურს ადევნებდენ გაზეთში დასაწერ ამბებს და უამბობდენ რომელიმე ინტელიგენტს ამან ასე ქნა და იმან ისეო. ესენი მოვიდოდენ და გეკითხებოდენ გაზეთში თუ წერია რამე „ახალიო“ ამ „ახალში“ გულის-ხმობდენ ნიგოითის შესახებ წერილს, რომელშიაც მოხსენებული იქნებოდა ერთ-ერთი „სიბნელის მომხრეთაგანი“ რასაკვირველია. და რომელ გაზეთის ნომერშიაც ნიგოითის შესახებ რამე იქნებოდა დაწერილი ის ნომერი ერთ კვირაში გაცვდებოდა, რადგანაც ერთი ოჯახიდან მეორეში და ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა, მეორე მხრით ისინი ვინც „სიბნელის მომხრეთა“ თანაუგრძნობდა ასე ამბობდენ: ვინცხაა იმ გაზეთს როი წერენ იგინი დასაკარგაია, მთლათ დაკვილანძღეს ყველა კაცი: მამასახლისი, მღვდელი, ერი და სხვაო; შენი სოფლის კაცი ავიც რომ იყოს მაინც არ უნდა გალანძღო, აგი მთელი სოფლის გალანძღვა არისო და სხვ. სოფელში დიდ გაკვირვებაში ჩაგდო ამ გაზეთში წერილების წერამ საზოგადოებას უფრო შეუგნებელი ნაწილი. ამათში სხვა და სხვანაირათ ერცელდებოდა ამ წერილების ამბები. იმან ასე დაწერა, ამან ასე დაწერაო—ამბობდენ ესენი.—№-მა თქვა, თურმე, რასაც ვწერ მე ეარ და კიდევ ბევრს დავწერ და არც არავისი მეშინიაო.—№-მა დაგვიწერა თურმე ამ და ამ მღვდელმა აუარებელი კაცი დამარხაო“—№-ს დაუწერია „თავად-აზნაურობას ჩიტი გაუფრინდაო“ (კერძო წერილი იყო ერთ აზნაურთან მოწერილი სადაც ეწერა: „თავად-აზნაურობას წინანდელი დრო გაუფრინდაო). ზოგნი ამბობდენ ნეტაი რაფერ გეიწერება იგი გაზეთი, ან რეიზა არ იცნობა ვისი დაწერილიაო, და სხვა.

(შემდეგი იქნება)

ბ ე ლ გ ი ი დ ა ნ

მიმდინარე პოლიტიკა.—ადგილობრივი თვით-მართველობა.—მუშათა პარტია საბჭოებში.—„კომუნალური“ არჩევნები. *)

ოპოზიციაში დარჩა მხოლოთ ის პარტია, რომელიც მუდამ ოპოზიციაშია, რომლისთვისაც ოპოზიცია, პროტესტი შეადგენს სასიცოცხლო ძარღვს. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ წუთიერათ აქაც გაისმა პატარა დისონანსი, (უთანხმოება) რამდენიმე პირი ურჩეოდა პარტიას მიეღოთ მთავრობის პროექტი.. ამის სასარგებლოთ მოჰყავდათ ასეთი საბუთები: თუნდა პროექტი უსამართლოც იყოს, ამ ქამათ მუშა პარტია, მიტოვებული ყველა ოპოზიციონურ პარტიებისაგან, ვერ გაუმკლავდება მთავრობას; მით უფრო რომ ეს უკანასკნელი უზომოთ გაბრაზებულია ივნის-ივლისის დამარცხებით და უბრალო საბაბს ელის მთელი ქანდარმერია და ჯარი გამოიყვანოს მუშა ხალხის წინააღმდეგ; მარა მთავრობის პროექტი ხელ საყრელია: იგი გაამრავლებს პარლამენტში საერო საარჩევნო უფლების მომხრე დეპუტატთა რიცხვს და თვით მუშა პარტიას შესძენს 12 დე ახალ სადეპუტატო ადგილს. გარდა ამისა უხერხულია პროპორციონალური წარმომადგენლობის წინააღმდეგ ამხედრება იმიტომაც, რომ

1) იხ. „კვალი“ № 45

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი თვით პარტიის პროგრამაში შეტანილი. კითხვის საბოლოოთ გამოსარკვევათ პარტიამ მოახდინა არა ჩვეულებრივი კონგრესი (28 აგვ. ბრიუსელში). რომელზედაც კვლავ გაიმეორა და შეამოწმა თავისი უკანასკნელი წლიურ კონგრესის (22 მაისს ქალ. ვენში) გადაწყვეტილება; პროპორციონალური წარმომადგენლობის შემოღებას წინ უნდა უძღოდეს საერთო, ყველასათვის თანასწორი, საარჩევნო უფლება. პროპორცია ამაო სიტყვაა იქ, სადაც მუშას ერთი ხმა აქვს და ბურჟუას კი ორი და სამი. გარდა ამისა დაადგინა არ მიემხროს არც ერთ საარჩევნო რეფორმას თუ იგი არ იძლევა საერთო, ყველასათვის თანასწორ საარჩევნო უფლებას და იხმაროს ყოველივე ზომა მთავრობის პროექტის წინააღმდეგ. კონგრესმა გამოთქვა აგრეთვე ის აზრი, რომ ჯერ-ხანობით არ მიმართონ ქუჩის მოძრაობას [1]. პარტიის აღელვებული უმრავლესობა დაამშვიდა განსაკუთრებით ვანდერველდმა. ეს თითქმის ყველა კრებებზე იმეორებდა: პოლიტიკური შორს მხედველობა თხოულობს მოცდას. თუ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახლავე აიღებთ იარაღს ხელში, მეც თქვენ გვერდით ვიქნები ქუჩაში, მარა გემუდარებით პარტიის კეთილდღეობის სახელით ჯერ შეიცადოთო.

კონგრესის გადაწყვეტილებას დაემორჩილა პარტიის ყველა წევრი, როგორც უმაღლეს კანონს. მათ შორის კვლავ გამეფდა სრული თანხმობა და ერთსულობა.

უმთავრესი მოსაზრება, რისთვისაც მუშა პარტია წინაღუდგა ახალ კანონ პროექტს, ასეთია: პროექტის დაკანონება, მართალია დღევანდელზე უკეთესათ გაანაწილებს სადეპუტატო ადგილებს, თვით მუშა პარტიას შესძენს 12-დე ახალ ადგილს, მარა იმავე დროს კარგა ხნობით დააგვიანებს საერო, საარჩევნო უფლების შემოღებას და თითქმის შეუძლებლათ გახდის მშვიდობიან ზომებით მის განხორციელებას. მისთვის მებრძოლე იქნება მხოლოთ მუშა პარტია, თუ სახეში არ მივიღებთ ერთ მუჭა დანსისტებს და სუსტ პროგრესისტების პარტიას, ხოლო წინააღმდეგი ორი დიდი პარტიაა – კლერიკალური დ ლიბერალური. უკანასკნელი, რაკი შეიძლებს პარლამენტში შესვლას, საბოლოოთ დაუმეგობრდება კლერიკალებს. ლიბერალებმა რამოდენათმე კიდეც შეასრულეს თავიანთი მუქარა. დიდი ლიბერალური ლიგა ბრიუსელის და ანტვერპენისა შეურთდა ოპოზიციას, რომლის ბაირაღზე ეწერა: კლერიკალების წინააღმდეგ საერ. ს. უფლება. ცხადია ოპოზიციონური კავშირი მომავალ საკანონმდებლო არჩევნებისთვის უფრო გაღონიერდებოდა და განმტკიცდებოდა. ასეთ პირობებში არჩეულ პარლამენტში დეპუტატთა უმრავლესობა ს. ს. უფლების მომხრე იქნებოდა და მაშასადამე თვით რეფორმის განხორციელებაც სადღე ხვალიო კითხვათ გადიქცეოდა.

კლერიკალების წინ ორი გზა იყო: ან დაეკმაყოფილებინათ ლიბერალები, ე. ი. თავისი პარტია შეესუსტებინათ მათ სასარგებლოთ ან კისერი გაეშვირათ საერ. ს. უფლებისათვის. რასაკვირველია მათ არჩიეს პირველი. აქედან სმეტდენეიერის კანონპროექტის raison d'être-ი (გაჩენის საბაბ-საფუძველი). კლერიკალები გულს იმშვიდებენ: „რა ვუყოთ რომ ლიბერალური პარტია გაცოცხლდება, – თქვა პარლამენტში ერთმა მემარჯვენე დეპუტატმა (დეტროცი), — ლიბერალები ხომ სოციალისტები არ არიან. ლიბერალებსაც ისე, როგორც ჩვენ, სურთ დაიცვან ნაციონალური ინსტიტუტები (წყობილება), მონარქია, ნაციონალური დროშა. ამიტომ ვარჩევთ ისევ ლიბერალებსა ვხედავდეთ ჩვენ გვერდით, ვინემ ჩვენი წყობილების მტრებს“.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ცხადათ ჩანს, რომ მუშათა პარტია დაინტერესებულია მომავალ საკანონმდებლო არჩევნებამდის ხელ-უხლებელი დარჩეს არსებული სისტემა vote plural-ი, მიუხედავათ ამ სისტემის ყველა უმართებულობის.

როგორ გადაწყდება კითხვა ძნელი სათქმელია. კანონ პროექტი ამ ჟამათ ირჩევა პარლამენტში. მარცხენა - ერთი ნაწილი პროგრესისტების და სოციალისტები კმაყოფილდება მშვიდობიანი ობსტრუქციით. მას თავის და უნებურათ მხარს უჭერს მცირე ნაწილი ფანატიკოს, უკიდურეს კლერიკალებისა (ვუსტის ფრაქცია).—ასეთი კურიოზები (სასაცილო ოინები) არ არის იშვიათი საპარლამენტო ბრძოლაში. ესენი ვერ ურიგდებიან კლერიკალური პარტიის დაფოლებას და უნდათ რამე ახალი საარჩევნო მახინაციით გააგრძელონ თავისი ბატონობა.

პარლამენტის გარეთ მიწყდა საერთო მღელვარება. ქუჩის დრტვინვა-ბობოქრობის ადგილი დაიჭირა კითხვის კაბინეტურმა შესწავლამ, პარტიათა კერძო კრებებმა და თათბირმა.

სექტემბრის დამლევს კვლავ ამოძრავდა ხალხი. ბელგიის ერთი კუთხიდან მეორემდის, ყველა ყავახანებსა და ქუჩებში დაიწყო მიტინგები და ყრილობები. პარლამენტმა მემარცხენეთა წინადადებით ძლივს ერთი კვირით შეაჩერა სხდომები, რომ დეპუტატებსაც მისცემოდათ შეძლება მიეღოთ მონაწილეობა საერო მოძრაობაში. (მთავრობის ციებ-ცხე-

[1] ეს უკანასკნელი აზრი არ გამოცხადებულა გაზეთებში. კრებები დახურული იყო. ამ დელეგატებს სასტიკათ ჰქონდათ აკრძალული კრებაზე დასწრება.

ლების გამო პარლამენტის სხდომები წელს თითქმის მთელ წელიწადს გძელდება შეუსვენებლივ).

ამ ხელათ მოძრაობის საგანი იყო „კომუნალური“ არჩევნები, რომელიც მოხდა 15 ოქტომბერს (ა. სტ.). საქმე შეეხება ადგილობრივ თვით-მართველობაში „ხმოსნების“ (conseil communal) არჩევას.

დ. დ.

ქ. ბრიუსელი.

კოპერნიკიდან დარვინამდე.

(გადმოკეთებული პროფესორი ფეტერის სტატიიდან)

პ. სურგულაძისაგან. *)

Gასულ საუკუნის შუა წლებში ფილოსოფოსმა კონტმა და ლაპლასმა შექმნეს თეორია, რომლითაც ახსნეს დღევანდელი ვითარება სამყაროისა. მოწმენდილ ღამეში რომ გამოხვიდეთ გარეთ და ზევით აიხედოთ, დაინახავთ უთვალავ-უანგარიშო სხეულებს, რომელთაც ჩვენ ვეძახით ვარსკვლავებს. უბრალო, შეუიარაღებელი თვალი, რასაკვირველია, ვერაფერს არჩევს და ვერც დიდ რამე დაკვირვებას მოახდენს. მარა თუ მეცნიერებას მიმართავთ, შეიარაღდებით მისი ცოდნით, მაშინ შენიშნავთ, რომ ყველა ეს ცის სხეულები: მზე, მთვარე, მიწა, ვარსკვლავები შემდგარი არიან ერთ და იმავე ნივთიერებისაგან, ხოლო ეს ნივთიერებანი სხვა-და-სხვა სხეულზე სხვა-და-სხვა მდგომარეობაშია. ერთ სხეულზე რომ გაზებათაა, მეორეზე უკვე ციედება, მესამეზე თითქმის სულ გაცივებულა, გამაგრებულა. მზის შემადგენელი ნივთიერებანი, გამდნარ-გადადუღებულ არიან და წარმოადგენენ გაზებს. ამიტომაცაა მზე რომ ასეთ სითბოს და სინათლეს იძლევა. იმავე მდგომარეობაში არიან ვარსკვლავები, რომელიც ოდნავ ბჟუტავენ ცის სივრცეში. თუ ჩვენ მათ სითბოს და სინათლეს ვერ ვგრძნობთ, როგორც მზისას, ეს იმიტომ რომ მეტათ შორს არიან, იმდენათ შორს, რომ ზოგიდან სინათლე რამდენსამე წელს ანდომებს ჩვენამდის მოღწევას. მარა ეს მნათობი სხეულები თან და თან ჰკარგავენ სითბოს და სინათლეს, რომელიც ცის სივრცეში იფანტებიან. და ბოლოს ზოგი მათგანი სულ ცივდება, იკუმშება და მათ ეფარება მაგარი კანი. ასეთ გაცივებულ სხეულს, რომელსაც თავისი სინათლე აღარ აქვს, ჰქვია პლანეტა. ზოგი ვარსკვლავი თეთრათ ბრწყინავს, ზოგს მოწითალო ფერი გადაჰკრავს. მაშ ყველა ეს სხეულები, შემდგარნი ერთი და იმავე ნივთიერებისაგან, ერთ და იმავე განვითარების გზას ადგანან. თავდაპირველათ კოსმიური, ანუ სამყაროს ნივთიერება წარმოადგენდა ერთ გაფანტულ ნისლს. მერე ეს ნისლი ნაწილ-ნაწილათ იგუნდებოდა და შედგა სხეულები, რომელშიაც ზოგს დღემდისაც ვერ მიუღია გარკვეული ფორმა, დღესაც გამორკვევის გზას ადგია, ზოგი უახლოვდება ჩაქრობას, ზოგს სიცოცხლეც დაუსრულებია. მაშ სამყაროს სხეულთა ისტორიაც დაემორჩილა ერთიანობის კანონს, თანდათანურ განვითარებას. ლაიელმა ხომ ასეთი განვითარების თვალით მიწის სიცოცხლე ახსნა. ეს ახსნა მაშინ შეიქმნა შესაძლო, როცა წარმოვიდგინეთ, შევიგნეთ, რომ წარსულ მილიონ წლებშიაც მეფობდა იგივე ერთგვარი კანონიერება, რომელიც დღეს აღმოაჩინა და დაამტკიცა ფიზიკამ და ქიმიამ დღევანდელი დღისათვის, ასტრონომიამ წარსულისთვის. ეს რომ —ჭეშმარიტებაა, ამას ამტკიცებს ყოველი ახალი ფაქტი და გამოკვლევა. გეოლოგიური მოვლენებიც მოემწყვდენ ერთ საზოგადო ჯაჭვს შიგნით და ადამიანმაც შეიგნო, რომ ყოველივე, რაც დღეს მას გარს ახვევია, არის შედეგი ისეთი მდგომარეობისა, რომელიც სუფევდა უთვალავი წლების წინ.

ამნაირათ ორმოციან და ორმოც და ათიან წლებში თანდათან უფრო და უფრო ნათლათ ირკვევოდა ქვეყნიერების წარმოდგენილობა, მისი განვითარების სურათი. იმავე დროს ის მეცნიერებანი, რომელნიც მისდევდენ არა ორგანიული, მკვდარი ბუნების შესწავლას, აღჭურვილნი მიზეზიანობის კანონით, ახალ და ახალ აღმოჩენებს ახდენდენ. იგივე არ ითქმის იმ მეცნიერებებზე, რომელნიც ორგანიულ არსებათა შესწავლას მისდევენ. ამ მეცნიერებებში რაღაცა არეულ დარეულობა, უსისტემობა იყო. მართალია ზოგი კითხვა აქაც გამოირკვა, მაგალითათ, ქიმიამ დაამტკიცა, რომ ორგანიზმი შედგება იმავე ნივთიერებისაგან, რომელიც მკვდარ, არა ორგანიულ ბუნებაში შეგვხვდება, რომ არავითარი ისეთი ნივთიერება ორგანიზმში არ მოიპოვება, რომელიც არა ორგანიულ ბუნებაში არ იყოს. საზოგადო ბუნებაში ზოგი სხეული რთულია, რამდენიმე ნივთიერებისაგან შედგება, ზოგი ნივთიერების დახსნა—დანაწილება კი აღარ შეიძლება. ასეთ მარტივ ნივთიერებას, რომლის დახსნა დღეს არ შეგვიძლია, ჰქვია ელემენტი. სულ ელემენტები 70-დეა, ამ ელემენტებში ზოგი ძრიელ გავრცელებულია, ხშირია, ზოგი იშვიათია. ორგანიზმის შემადგენელ ნივთიერებათ უნდა ჩავთვალოთ ოთხი ფრიად გავრცელებული ელემენტი: ნახშირბადი, მჟავბადი, წყალბადი და აზოტი. ეს აღმოჩენაც არ იკმარა მეცნიერებამ. იმან აილო ეს

*) იხ. „კვალი“, № 45.

ელემენტები და ეცადა ისინი ისე შეეზავებია, რომ მიეღო ორგანიული შერთებანი, ე. ი. ისეთი შეერთებანი, რომელიც შედეგია ორგანიზმის მოქმედებისა. აქედან დამტკიცდა, რომ ორგანიზმში იგივე ძალები მოქმედებენ, რაც მის გარეთ. გამოიყენეს ფიზიკური მეთოდები ორგანიზმის შესწავლაში, შეუდგენ ორგანიზმის მუშაობის შესწავლას, დაიბადა ახალი, მეტათ ჩქარა მოზარდი მეცნიერება, ფიზიოლოგია, რომელიც შეუდგა ცალცალკე სხვა და სხვა ორგანოების მოქმედების შესწავლას. აღმოჩნდა, რომ ორგანიზმი რთული მაშინაა, რომელიც, თუ გარეშე პირობები ხელს უწყობენ, თავის თავს თითონ უძღვება. მისი ნაწილები საესებით ემორჩილებიან ბუნების კანონებს, განსაკუთრებული თვისება ერთი აქვს. შეუძლია ბუნებას გარეშე შეითვისოს, თავი მოუყაროს „მომართულ“ ენერგიას, გარეშე ენერგია ჩანთქას, როგორც საჭმელი, სასმელი, სითბო, შეითვისოს, დაზოგოს და შემდეგ გამოამჟღავნოს, მოქმედ ძალათ აქციოს. მაშ თუ ორგანიზმი თავის ძალას ხარჯავს, სამაგიეროთ თანაბარ ძალას მიიღებს გარედან.

ამავე დროს განვითარდა შედარებითი ანატომია, რომელიც ადარებს ერთმანეთს ცხოველთა აგებულებას, წინ წავიდა აგრეთვე ცხოველის და მცენარის განვითარების ისტორია. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ მიკროსკოპული გამოკვლევანიც. წყალში და სველ მიწაში აღმოაჩინეს მეტათ პაწაწა, გამორკვეულ ფორმას მოკლებული არსება, რომელსაც არ მოეპოვება არავითარი ორგანო, სრულიად არ ატყვია, რომ ცხოვრებას რაიმე ნაირათ შეწყობოდეს. მაინც კი ცხოვრობს მისი რბილი, ლორწოიანი სხეული კანითაც კი არაა დაფარული, მარა ის მაინც მოძრაობს, მიიღებს საჭმელს, ითვისებს მას, სუნთქავს, იზრდება, მრავლდება და იმის გამოცნობაც კი შეუძლია, მისთვის ეს თუ ის არე რამდენათ გამოსადეგია, ხელის შემწყობია სითბოსი, სინესტესი, სინათლის, წყლის საწმენდით და სხვა პირობების მხრივ. რასაც იგრძნობს, იმის შესაფერათაც მოიქცევა: რაც მისთვის გამოუდეგარია, ეცდება აიცდინოს, რაც შესაფერია, იმით ისარგებლოს. ამ ნაირათ იპოვეს ისეთი არსება, რომელსაც შეუძლია ყველა ის მოქმედება, რაც უფრო მაღალ ცხოველებს აქვთ, თუმცა მართალია უფრო მარტივათ, სადათ. ამავე დროს ეს არსება ორგანიზმი როდია. ორგანიზმი ისეთი არსებაა, რომელსაც სხეულს რომ შრომა აწევს, ეს შრომა დაურიგებია თავის ნაწილებისთვის, ორგანოებისთვის. ყოველ ორგანოს განსაკუთრებული საქმე, ფუნქცია აქვს. უწინდელ დროში ვერ წარმოედგინათ ისეთი ცოცხალი არსება, რომელსაც ორგანო არ ჰქონოდა, ამიტომ ორგანიზმი და ცოცხალი არსება ერთს და იმავეს ნიშნავდა. ახლა კი მიკროსკოპმა აღმოაჩინა ისეთი ცოცხალი არსება, რომელსაც თუმცა არავითარი განცალკევებული ორგანო არ აჩნევია, მარა სიცოცხლე მაინც შეუძლია. ეს სიცოცხლის უმდაბლესი საფეხურია, ასეთი ცოცხალი არსება უმარტივესი არსებაა, „პირველი“ არსებაა რომელიც აკავშირებს უსულო და ცოცხალ ბუნებათ.

ამავე დროს მიკროსკოპიულათ გაშინჯეს მცენარე და ცხოველი; ამ გაშინჯვამ აღმოაჩინა, რომ ყოველი ნაწილი, ყოველი ორგანო შემდგარია უთვალავი პაწაწა ორგანიზაციის მქონე ნაწილისაგან, რომელსაც აქვს თავისი სიცოცხლე, რომელიც თავისებურათ ცხოვრობს, ეს ნაწილი არის უჯრა, რომელიც თავისი აგებულობით და მოქმედებით საოცრათ მოგვაგონებს ზემო დასახელებულ მარტივ არსებათ. მაშ ცხოველს მცენარეს შეადგენს უჯრები. ყოველი უჯრა ეწევა ცალკეთ თუ ბევრათ დამოუკიდებელ ცხოვრებას, როგორ ჩნდება უჯრა? დანაწილებით. უჯრა იზრდება და როცა თავის ჩვეულებრივ სისხოს მიაღწევს, მაშინ შაუზე გადაიწურება, თან თა თან ორ ბუშტათ გადარიგდება დაბოლოს სრულიად გაწყდება. ამნაირათ ერთი უჯრის მაგიერ გაჩნდება ორი; ახალი უჯრა თანდათან ითვისებს გარემოცულ არიდან საზრდო ნივთიერებას, უშვრება მას ასიმილიაციას, ესე იგი შეისისხლხორცებს. ამ ნაირათ იზრდება, ძიაღწევს თავის ჩვეულებრივ სისხოს, ცხოვრობს რამდენსამე ხანს და ასრულებს თავის შესაფერ დანიშნულებას. მერე თანდათან ბერდება, კვდება, მის ადგილს კი იპერენ ახალგაზრდა უჯრები. ამ ნაირათ ჩვენ რომ ცხოველს, ინდიეიდს, ერთ რაიმე მთელს, განუყოფელს ეეძახით, ეს მართალი არაა. ცხოველი აშენებულია უჯრებისაგან, რომელთა მწყობიარე, შეთანხმებული მოქმედება წარმოადგენს მის ცხოვრებას. ყოველი უჯრის მოქმედება მიმართულია საერთო კრებულის სამსახურისთვის, ყველა ისინი ერთათ ემსახურებიან ერთ მიზანს. ცალკე ორგანოების და აგრეთვე მთელი ორგანიზმის მოქმედება არის ჯამი, შეერთებული მოქმედება უჯრათა-კრებულისა.

(შემდეგი იქნება)

Შ. ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ.

ბედნიერებით მოვაჭრე დედაკაცი.

(ამბავი Შ. გიოზისა).

(ფრანგულიდან)

ონსოს ბალი შემოდგომაზე რაღაც ასიამოვნო სევდიანობის გამომეტყველებას ღებულობს. ის ისე კი არ იღელავს გულს, როგორც ჩვეულებრივი ბაღები, რომელნიც ურცხვათ აშკარავებენ თავის სიტიტელეს. ის ზამთარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიაც ფოთლებით შემოსილი რჩება. ხოლო თუ აქა იქ ზოგ ხეებს აიძულებს მკაცრი ბუნება გაშიშვლებას, აქ ამასაც რაღაც სასიამოვნო სახე ეძლევა; მოწყდება თუ არა სადმე ფოთოლი, მას იმ წამსვე გააქანებენ იქიდან. აქ ვერსად ნახავთ, რომ ქარი დაყვითლებულ ფოთოლთა გროვას ჰაერში აფრიალებდეს.

ყოველ დილით ჰგვიან მის ხეივნებს, ჰკრეჭენ გორაკ-ბუჩქებს, ასწორებენ ფათალოს; წეს-რიგში მოჰყავთ ყვავილნარში გავლებული ყვავილებისავე ლამაზი არშიები. აღარსად ჩანან მხოლოთ ზაფხულის ჭრელა ჭრულა ყვავილები. ბაღის შესახედაობა რაღაც უფრო გარბილებულია, თვალს მკაცრათ არ ხვდება და მუქი სიმწვანე-და გამეფებულა.

— რა საშინლათ უხდება ერთმანეთს მუქი მწვანე და ნათელი წაბლის ფერი – ჩაილაპარაკა თავისთვის შემოდგომის ერთ დღეს ქ-მა დე ვირმონტმა, ცნობილი ბანკირის მეუღლემ, როცა გადახედა თავის აბრეშუმის კაბის შლეიფს, და ჩამოჰკრა ზარს. შემოვიდა მოახლე.

— თომას უთხარი ახლავე კარეტა დაამზადოს და ჟერმენმა გასტონი მომიყვანოს. მინდა მონსოს ბაღში გავასეირნო.

მისი 4—5 წლის ვაჟი, გასტონი, ჩვეულებრივ გადია ჟერმენს დაჰყავდა სასეირნოთ, ხოლო დედა კი ამ დროს „ტყეში" მიდიოდა.

ჩქარა მოვიდა გახარებული გასტონიც, რამდენიმე წამს შემდეგ დედა-შვილი უკვე მიემგზავრებოდენ კარეტით ბაღისაკენ.

წინა ღამით სუბუქი ყინვა იყო და აქა იქ, ჩეროებში, ხის ძირებთან კიდევ დარჩენილიყო ვერცხლებრ მოელვარე რთვილი. საგრძნობლათ ციოდა, მაგრამ ჰაერი მშრალი და ნათელი იყო. რუსულ ქურქში გახვეული, ხელში მუფთით (ხელის სათბილო) ქ-ნი დე ვირმონტი ერთიან კმაყოფილებით სუნთქავდა. მის გვერდით გასტონი კიკოსავით დახტოდა და ცელქობდა. დედა გადახედავდა დრო გამოშვებით მას და გაუღიმებდა. კოპწია კურტკა, შავი ხავერდის შარვალი, კრავის ბეწვის ქუდი, მოღეღილი კისერი, წმინდა ტილოს საყელო მხრებზე ფართოთ გადაშლილი, ყველა ესენი მეტათ ამშვენებდნენ პაწია გასტონს. ამაყათ გადახედავდა დედა შვილს, როცა მას შეადარებდა ბაღში მოთამაშე სხვა ბავშვებს; ერთიც არავინ ერია მათში ასე მოხდენილ გემოზე ჩაცმული. შემდეგ დაფიქრდებოდა თავის თავზე და იმისი შეგნება, რომ მისი ტურფა არსება დასეირნობდა ამ შვენიერ ხეივანში, ამ მცენარეულობათა შორის, ამ საუცხოო ხეებს ქვეშ, ამ ყვავილნარში, რომელთა სიშვენეც ისე შეესაბამებოდა მის საკუთარ სიშვენიერეს, უზომო სიამოვნებას ჰგვრიდა მას. კმაყოფილებით გაბრწყინებული სახე, რომელზედაც ძლივს ეჩნეოდა პუდრის კვალი, თამამათ მიეშვირა მზისათვის—ალბათ შემოდგომის მზის სხივები საშიში არ არის პირისკანისათვის.

— ოჰ, რა საუცხოვო დღეა! ასეთ დღეში სიცოცხლეც ტკბილია!

გასტონმა გაიტაცა დედა ტბისაკენ, სადაც იხვების მთელი გროვა იყო. გასტონი უყრიდა მათ პურის ნამცეცებს, და სიამოვნებით თვალს ადევნებ და თუ როგორი სიხარბით ყლაპავდენ.

უეცრივ ბავშმა წამოიძახა:

— დედა, ერთი სუ მომეცი!

— რათ გინდა სუ?--დაეკითხა დედა.

— „ბედნიერება" უნდა ვიყიდო ქ-ნ სამსონისაგან. ჟერმენი ყოველთვის მაძლევს ფულს, როცა აქ მოვდივართ.

— ბედნიერება რათ გინდა? კამფეტები არ გირჩევნია, რომელიც ისე ბლომათ გაქვს სახლში.

— არა, დედა, მე „ბედნიერება" უფრო მომწონს; ის შენც მოგეწონება, როცა ნახავ; დაატრიალებ და ამოგივა ნომერი და მაშინ იმდენ ბედნიერებას მიიღებ, რამდენი ნომერიც ამოგივა; თუ სამი ნომერი ამოგივიდა—სამ ბედნიერებას მიიღებ; ყველაზე დიდი ნომერი 12, მაგრამ მე ის არაოდეს არ ამომსვლია; წავიდეთ, დედა?

— კარგი, წავიდეთ—მიუგო ქ-ნ ვირმონტმა, წავიდეთ იმ შენ სამსონთან.

გასტონი ტაშის კვრით გაიქცა წინ. ბაღის კარებთან, რომელიც კურსელის ბულვარზე გადიოდა, გასტონმა უეცრივ წამოიძახა: აი, დედა, აქ არის! და მიუთითა ზღუდეს გარედან დაბალ სკამზე მჯდომ მოხუც დედაკაცზე, რომელსაც წინ რკინის ყუთი ედვა. ქ-ნ ვირმონტმა აუჩქარა ფეხს, რომ გადაეცა ბავშვისათვის საჭირო ფული. როცა გასტონი დატრიალებულ ყუთის ისარს მოუთმენლათ შესცქეროდა, დედამ უნებურათ შეხედა მოხუც დედაკაცს. ის იყო პირ მოგძო, საშინლათ გამხდარი, დაჭმუჭნილი ეტრატის მსგავსი, მომწვანო—ყვითელი ფერისა და სრულიად სახე დალმეჭილი; მისი მოწყენილი თვალები ძლივს მიმქრალათ ანათებდენ, თითქო რაღაც მოჩვენებას მიშტერებოდენ.

დე ვირმონტმა შენიშნა, როგორ უკანკალებდა ხელები საბრალო მოხუც დედაკაცს, როგორ თრთოდა ქარის თვითეულ შემობერვაზე პაწია შავი შალის მოსახურავით დაფარული მოკუზული ზურგი.

ქალის ჟრუანტელმა დაუარა ტანში, თითქო ახლა მიხვდა, თუ რა შემზარავ სიცოცხლეს ატარებენ პარიჟის ზოგიერთ კუთხეების მცხოვრებნი. რატომ ზის აქ, ამ ცივ ქარში, ეს უძლური მოხუცი დედაკაცი, როცა მისი ადგილი უნდა იყოს თბილ ოთახში, ვისამე მზრუნველობის ქვეშ? რამ მიაღწევინა მას იმ ზომამდე, რომ აქ, საზოგადო

ბალის კარებთან ბედნიერება ჰყიდოს? ალბათ ის მოკლებულია ყოველგვარ რჩენის სალსარის. ნუ თუ არა ჰყავს მას არც ქმარი, არც ვაჟები, არც ქალები, არც რძალი და არც სიძე? ეს ვაჭრობა შემოუტანს მას მხოლოთ რამდენსამე სუს დღეში: როგორ ცხოვრობს ის ამ პაწია შემოსავლით? მრავალი ასეთი კითხვები ებადებოდა თავში ქ-ნ დე ვირმონტს; მას აეძრა სიბრალულის გრძნობა. ერთ წუთში ისე თივე სიცივე იგრძნო მან, როგორსაც მოხუცი გრძნობდა და ინსტინქტიურათ გაეხვია თავის ბეწვიან ქურქში.

ამ დროს გასტონმა წამოიძახა:

— ათი, დედა, ათი ამომივიდა!

რა ალტაცებითა და სიამაყით იმეორებდა სიტყვას ათს.

გაფითრებული, უსიცოცხლო თითებით ახადა ქ-ნ სამსონმა ყუთის თავი, ნელა ამოიღო იქიდან ერთი-მეორეში ჩაწყობილი ბედნიერების ქულა და ჰადასცა გასტონს; ბავშმა გაუწოდა ორივე ხელები და სიხარულით წამოიძახა: ოჰ, ოჰ!

ამ ძახილმა გამოიყვანა ფიქრიან მდგომარეობიდან ქ-ნი დე ვირმონტი. მაგრამ სანამ წასვლას დააპირებდა, ამოიღო ჯიბიდან ხუთ ფრანკიანი და დაუდო ყუთზე.

მოვაჭრე დედაკაცმა მკაცრათ შეხედა მას და უსიტყვოთ, სასტიკი გამომეტყველებით ანიშნა ქალს ფულზე. ქ-ნი დე ვირმონტი მიხვდა.

— მომიტევეთ,—დარცხვენით ჩაიბუბუტა მან, აიღო ფული და დაფიქრებული გაუდგა გზას გასტონთან ერთათ, რომელიც გულში იკრავდა თავის „ბედნიერებას“. მოხუცი დედაკაცი კი ისევ-ისე უჯდა იქ ცივს ქარს და მისი მწუხარე თვალები ისევ ჩაღრმავდენ შავ ფიქრებში.

მთელი დღის განმავლობაში ქ ნ დე ვირმონტს თვალ წინ უდგა მოხუცი დედაკაცის ჩამომხმარი სახე და მიმქრალი თვალები და ყოველთვის უსიამოვნო შთაბეჭდილებას ჰგვრიდა ეს მას. სწორეთ ამ მიზეზით ჩამოაგდო მან ლაპარაკი იმ საღამოს მოხუც დედაკაცზე თავის სასტუმრო დარბაზში უფ. ბუაეოსთან. ქალი თხოვდა მას გამოეკითხა იმ დედაკაცის მდგომარეობა და გაეგო რითი შეიძლებოდა მისი დახმარება. უფ. ბუაეომ ზრდილობიანათ შეაქო მისი სულის კეთილ-სათნოება, რაზედაც ქალმა მომხიბლველათ აიბზუა ტუჩები, და შეჰპირდა ცნობების შეკრებას. ამას შემდეგ სინიდის დამშვიდებული ქ-ნი დე ვირმონტი მიუბრუნდა მის გვერდით მყოფ კოპწია ყმაწვილებს და გაება მათთან ლაპარაკში ავსტრიის საელჩოს მომავალ ბალის შესახებ.

II

უფ. ბუაეო 60 წლის კაცია. ჭაღარა თმა, ასეთივე ბაკენბარდები, წმინდათ მოპარსული ნიკაპი, ქათქათა პერანგი, მშვენიერი ტანისამოსი, ნაზი, თხელძირიანი ფეხსაცმელები და მთელი მისი გარეგანი შესახედაობა თითქო ჰმოწმობს, რომ ის უნდა იყოს შეუმწიკვლელი ზნეობის პატრონი. მაგრამ ჩატეტკილ ტუჩებზე მოთამაშე ღიმილი და მოციმციმე პაწია თვალები საეჭვოთ ხდიან მის ასეთ ზნეობას. ხელები თეთრი და ფუნთუშა, მიხრა-მოხრა და მოქცევა შეუდარებელი, ხმა ტკბილი, შემპარავი, გაუცხარებელი, მუდამ ალერსიანი, რითაც საშინლათ ხიბლავს სმენას. ლაპარაკში ზნეობის ცხარე დამცველია, აღტაცებაში მოჰყავს ჯვრის საზოგადოების დათა კეთილ-მოქმედებებს, საქრისტიანო სკოლათა ძმობას, ყოველგვარ ორდენების ბერებსა და მოლოზნებს. გარყვნილება მას უსაშინელეს ცოდვათ მიაჩნია. მაგრამ ამავე დროს აქა-იქ უცნაური ხმები ვრცელდება ხოლმე მის მოახლეებზე, რომელნიც განაგებენ მის უდედაკაცო ოჯახს.

უფ. ბუაეო მონაწილეობას იღებს მრავალ კონგრეგაციებში (სასულიერო პირთა რჩევა-კრებებში), მუდმივი მდივანია საქველ-მოქმედო საზოგადოებათა, რომელნიც მოქმედებენ სენტ-ონორეს მიდამოებში. ყველა აღტაცებაში მოჰყავს მას თავისი გამრჯელობით, ბეჯითობით და სიწყნარით. დაუღალავათ დარბის სახლიდან სახლში, ბინიდან ბინაზე, სინიდისიერათ იკვლევს უბედურთა მდგომარეობას, რომელნიც მოწყალებას თხოულობენ. ეს უკანასკნელი მის ხელში მუდამ თვის დანიშნულებას აღწევს; ის ეძლევა მათ, რომელთა კეთილ მსახურება აშკარაა, ხოლო ამ მოწყალებას თან აყოლებს თავის მამობრივ რჩევა-დარიგებას, რომლითაც კეთილსურნელოვანებას ჰფენს გარჩემო.

აი, სწორეთ მას მიმართვენ ხოლმე მდიდარი წრის ქალები, როცა ქველმოქმედების სალღრღელი აეშლებათ. ქ. დე ვირმონტთან საუბრის მეორე დღეს უფ. ბუაეო გაუდგა გზას. მალე გაიგო, რომ ბედნიერებით მოვაჭრე დედაკაცი ცხოვრობს ანიოშის ქუჩაზე და გასწია იქითკენ. მეკარე დედაკაცმა ქ-ნ. სამსონის ხსენებაზე მიუგო: „მეექვსე, მარჯვნივ კარებში“. უფ. ბუაეო, როგორც შეჩვეული, თამამათ შეუდგა მაღლა, ბნელ კიბეს.

ბედნიერებით მოვაჭრე დედაკაცის ოთახს ანათებდა სახურავში გამოჭრილი პაწია ფანჯარა, რომელიც კაკვით აიხდებოდა და დაიხურებოდა. ფანჯრიდან მოყოლებული კედელსა და თვით იატაკს ცხადათ აჩნდა სინესტის ზოლები. ორი დაგლეჯილი სელის სკამი და ფართე ტახტი, რომლის გაფხეკილ გვერდებს ვერ ჰფარავდა გაშლილი ქვეშსაგები, შეადგენდენ მთელ მორთულობას ღარიბი ოჯახისას. ოთახის გაყინული ჰაერი შესვლისათანავე ყელში გეცემოდათ. უფ. ბუაეო მაგრათ შეეხვია თავის ქურქში.

დ—ი.

(შემდეგი იქნება)

მეაბრაშუმეთა პირველ ამხანაგობის სარევიზიო კომისიის საპასუხოთ.

ამაზე უარესი არაფერია, როდესაც თქვენი მოპირდაპირე თქვენგან წამოყენებულ კითხვებზე არა თუ არ გაძლევთ პირდაპირ და გადაწყვეტილ პასუხს, პირიქით თქვენ ნათქვამსაც კი ასხვაფერებს, ან სულ უელის გვერდს, თითქო არც გაეგონოს და არც იცოდეს თუ რაშია საქმე.

ამგვარი ქცევა გამოიჩინა პირველათ ბ-მა წერეთელმა—მეაბრაშუმეთა პირველ ამხანაგობის გამგემ და მერე ამავე ამხანაგობის სარევიზიო კომისიის წევრებმა („კვალი“ ს № 40-ში). არც ერთ ჩვენ კითხვაზე ამ ვაჟბატონებმა პირდაპირი პასუხი არ გვალირსეს. რასაკვირველია, ამ გვარი „ხერხი“ უფრო ნათლათ ამტკიცებს მას, რაც ყველასათვის ცხადია.. რა უნდა იყოს გაუგებარი იმაში, რომ ანგარიშის წარმოდგენა ყოველთვის და ყოველგან საეალდებულოა, რომ იმ გვარ საქმეში, როგორიც ამხანაგობის საქმეა, სადაც წლიური წარმოების თანხა აღემატება 350,000 მან., —ეს ვალდებულება უფრო მძიმე და გზაუელელია, მაგრამ დახეთ, როგორ იკატუნებენ თავს და მალულობიას თამაშობენ. სარევიზიო კომისიის წევრების წერილში ერთი სიტყვაც არაა საკამათო კითხვის შესახებ, ხოლო ბ-ნ წერეთელი ეითომ იმართლებს თავს, მარა ვაი იმისთანა მართლებას!... ბანკები მოჰყავს მოწმეებათ, რომ საქმეები კარგათ მიდისო, მაგ. განყოფილება „პეტერბურგის სასოფლო სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტისა“ და სხვ. მარა ამაზე ლაპარაკი ხომ გამეორება იქნება იმის, რაც ნათქვამია „კვალის“ № 41-ში ბ-ნი მეაბრაშუმეთა პირველ ამხანაგობის „ერთი წევრთაგანისა“.

ამ უკანასკნელმა თუ კი გაიგო ჩვენი გოდება, ბ-ნ წერეთელმა და მისმა მეგობრებმა როგორ ვერ გაიგეს, რას ესაყვედურებიან მათ. საზოგადოებას სურს 1898 წლის წლიური ანგარიში მოისმინოს დაწერილებით, მაგალითებრ, რისთვის უყიდნია 1898 წელში 100 მანეთის სიმინდის ფქვილი და ჩაურიცხავთ გამგეობის ხარჯში? ეს ამბავი ხომ ბ. მათე ბახტაძემ—სარევიზიო კომისიის წევრთაგანმა—საქვეყნოთ გამოაცხადა ყრილობაზე როდესაც მას გამგეობის ხარჯის აღრიცხვა მოთხოვეს, ან და ეინაა ის კერძო პირები, რომელთათვისაც გამგეს ამხანაგობის ფული, 16,000 მანეთი მიუცია. როგორი სარგებლით მიუცია, რისთვის, რა გამორჩენისათვის? ეს გარემოება, ჩვენ გვგონია საჭიროა ამხანაგობამ იცოდეს, და რამდენი სხვა კიდეე ამგვარი „საიდუმლოებია,“ რომელთაც ჰფარავენ და რომლის „გამჟღავნებას ქვეყნებას ერიდებიან, როგორც ჩანს!

საბრალო სარევიზიო კომისია კი ამას ყურადღებას არ აქცევს და სასაცილო დაჟინებით გაიძახის: „იზვინეთ ჩიკებს“ დაეკითხეთ, მუყაითათ ემუშაობდით თუ არაო“! მოითხოვება რამე ამგვარ ფილოსოფოსებს და ეს მათი სიტყვები საუკეთესო საბუთი არაა მათი არარაობისა?.

მადლობა ღმერთს კიდეე, რომ წერილს აწერენ ხელს მხოლოთ სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და ორი კი მჭერმეტყველურათ მდუმარებს! კარგი იქნება, რომ ერთმა ამ უკანასკნელთაგანმა—ბ-ნმა პოლიკარპე ჩხიკვიშვილმა (ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი იმისთანა უაზრო წერილს, როგორიც სარევიზიო კომისიის წევრების წერილია, ხელს არ მოაწერდა) ხმა ამოიღოს და ამ ბნელ კაცების ბნელ ნამოქმედარს ცოტაოდენი ნათელი მოჰფინოს.

დასასრულ ვიტყვი მხოლოთ, რომ სანამ ამისთანა მეთაურები ეყოლება ჩვენ ამხანაგობას, მას ნდობაც დაეკარგება და საქმეც დაეცემა. მეთაურნი, რომელნიაც უწმინდესი თავისი მოვალეობა არ ესმით, ანგარიშს არ იძლევიან, გზას უხვევენ სიმართლეს და ლობეყორეს ედებიან, აქ ბანკებია, იქ პეტერბურგელი კომიტეტია... მაშინ როდესაც არც ერთ მათგანს ჩვენ ამხანაგობასთან არაფერი კავშირი არ აქვს და მხოლოთ სიტყვის მასალათ არის წარმოთქმული,—საშიშნი არიან საქმის კეთილათ მიმდინარეობისათვის.

სერგეი ბახტაძე.

„კვალის“ ფოსტა.

ს. ასკანა. ბ. ს. ჯ—ლს. კითხვა სკოლისა, ბიბლიოთეკისა და სასოფლო ბანკის შესახებ საკმაოთ გამოიგვა; ი—ე ჯ—ი თავის სამსასუხო წერილში თქვენ ბიბადობას სრულებით არ ესება; ეგელა ამის გამო თქვენი წერილის დაბეჭდვა მეტად მიჩნია რედაქტორს.

დ. ჭიათურა. ბ. ა—ლს. თქვენი წერილი „დღეგანდელი მუშა და მისი ცხოვრება“ ვერ დაიბეჭდება.

ფეცდომის გასწორება.

„კვალი“-ს მე-45 № ში „კვირიდან კვირამდე“-ში ნათქვამია: ამერიკის გულური სალხი, უნდა იყოს ამერიკის.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელისა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 13 Ноября 1896 г. Тип. Т. М. Ротиніанца—სტამბა ბ. ტ. როტინიანცისა. Год. изд. I № 41.